ანი ხურცილავა

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

კავკასიის სამართლის სკოლა

ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია

,,უნივერსიტეტში ჩაბარების დროს ჩემთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, შესაძლებლობის შემთხვევაში არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მიმეღო განათლება. გამეზიარებინა უცხოური კულტურა და შეხედულებები. Erasmus+ ნიშნავს შესაძლებლობებს!

კავკასიის უნივერსიტეტის მხარდაჭერით შევძელი ერასმუსის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 2024-2025 წლის შემოდგომის სემესტრში მესწავლა გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში და ერთი სემესტრის განმავლობაში მიმეღო დაუვიწყარი გამოცდილება.

მივიღე უაღრესად დიდი ცოდნა და გავიზარდე არა მხოლოდ აკადემიურად, არამედ პიროვნულადაც. ამ გამოცდილებამ, ასევე, მეტი თვითდაჯერებულობა შემძინა.

გერმანიაში ყოფნისას შევიძინე ბევრი უცხოელი მეგობარი და ვეზიარე უცხოურ კულტურას. ამ პერიოდმა დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი კომუნიკაცია და განსხვავებული მენტალიტეტის გაცნობა. შესაძლებლობა მომეცა დავსწრებოდი ლექციებს,რომელთა ლექტორებიც არც მეტი, არც ნაკლები ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და ლექტორებიც კი არიან.

ვისურვებდი, რომ ეს გამოცდილება, შეგრძნებები და ემოციები თითოუელმა სტუდენტმა განიცადოს. მადლობა, კავკასიის უნივერსიტეტს, რომ მიზნებისკენ სწრაფვის კიდევ ერთი დიდი კარი გამიღო.

თქვენ, სტუდენტებო თუ აბიტურიენტებო, ირწმუნეთ საკუთარი შესაძლებლობების!’’